



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 926
08/05/2018

ქალაქი ბათუმი

926-05-4-201805081009



„თამაზ მურადიშვილზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საპროექტო განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტზე საპროექტო განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის დაკისრების შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 04 აპრილის №689 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და თამაზ მურადიშვილის 2018 წლის 03 მაისის №1278-05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. „თამაზ მურადიშვილზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საპროექტო განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტზე საპროექტო განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის დაკისრების შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 04 აპრილის №689 ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. თამაზ მურადიშვილს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საპროექტო განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს დაეკისროს მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საპროექტო განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შესრულება, 2018 წლის 04 მაისიდან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საპროექტო განყოფილების II რანგის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსის წესით შერჩეული კანდიდატის დანიშვნამდე.“

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს შრომის ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა